ცნობის ფურცელი

№ 1702 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 კვირა, 20 იანვარი № 1702

გაზეთი ღირს: წელიწადში—5 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურცლის“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. კამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“ „Моамбе“ ტელეფონი № 372.

ამ №-თან ხელის-მომწერლებს ურიგდებათ სურათებიანი დამატების მე-24 №-რი.

მიიღება ხელის-მოწერა **1902** წლისათვის

„მოამბე-ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანი დამატებით

ყოველ თვიური ჟურნალი

„მოამბე“

(წელიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით	10 მ.	1 წლით	13 მ.
6 თვით	6 „	6 თვით	7 „
3 „	3 „	3 „	5 „

ყოველ დღიური გაზეთი,

„ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით	6 მ.	1 წლით	9 მ.
6 თვით	5 „	6 თვით	7 „
1 „	75 კ.	1 „	90 „

ვინც „**მოამბე**“-ს მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატება** და „**ცნობის ფურცელი**“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს ერთი მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი. წლიური ფასის განაწილება სამივე გამოცემაზე: პირველად—6 მან. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ, 1-ლ აგვისტომდე—2 მ.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

რედაქცია და **კონტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქ., **ტელეფონი № 372.**

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели.“**

პატივი გვაქვს ვაცნობოთ ქუთაისის გუბერნიის ვაჭრებს,

თანახმად მმართველობის განკარგულებისა, ტფილისში ჩამოსვლა და ღამის გათევა ქარვასლაში უპასპორტოთ

სასტიკად აკრძალულია,

15 ამა იანვრიდან უპასპორტოთ ქარვასლაში მომსვლელის მიღება არ შეიძლება.

(5—3) გარს. რატიანი, ი. მაისურაძე.

მარგანეცის მრეწველთა კრების საბჭო საყოველთაოდ აცხადებს, რომ ვისაც ჰსურს მიმდინარე წელს ისწავლოს ჭიათურაში არსებულ სამთო პრაქტიკულ უფასო კურსებზე, ამ წლის 1-ლ თებერვლამდე წერილობით უნდა განუცხადოს კურსების გამგეს ინჟენერს ნ. ა. მარკოვსკის დაბა ჭიათურაში; განცხადებასთან ერთად უნდა წარუდგინოს პიროვნების შესამოწმებელი საბუთის ქაღალდი.

კურსებზე სწავლის მსურველს მოეთხოვება რუსულის ენის ცოდნა და ამ ენაზე წერა-კითხვა. კურსებზე მიიღებიან არა ნაკლებ 20 წლისა; უპირატესობა მიეცემა იმათ, ვინც სამუშაოს განაგებენ, ან შორაპნის სამრეწველო რაიონში მსახურებენ. (ნ.3—1)

ქართული თეატრი

კვირას, 20 იანვარს, 1902 წელს

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ქეთო ანდრონიკაშვილის მონაწილეობით.

დაკლებულის ფასებით

ცნობილი პიესა

I

დამნაშავეა?

დრამა 3 მოქ. გად. ნიკიტინისა.

II

კინტო

კომედია 3 მოქ. აკაკი წერეთლისა.

მონაწილეობენ: ქ.ქ. ანდრონიკაშვილისა, კარგარეთელი, ლეჟავა მდივანი; ბ.ბ. გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ურუშაძე, მირიანაშვილი, იმედაშვილი, სარჯველაძე და სხვ. დასაწყისი 8 საათზე. ფასები დაკლებულია.

მზადდება დ. აწყურელის საბენეფისოდ: „დასჯილი“ „საგიჟეთში“.

რეჟისორი ვ. გუნია

ქ. ბათუმში

იყიდება გაზეთი „ცნობის ფურცელი“ სპ. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში, შერემეტიევის ქუჩაზე, ნურიის ბაზარში, სასწორის პირდაპირ. (0—6)

სამხატვრო კლასები

ო. ი. შმერლინგისა და ნ. ვ. სკლიფასოვსკისა

(სემიონოვის ქუჩა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგ. სახლი) ამზადებენ სამხატვრო სკოლებისათვის და უმაღლეს სპეციალურ სამხატვრო სასწავლებლებისათვის.

მიიღებიან საღამოს 5-თი საათიდან 7 საათამდე. (5—3)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. ვ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 8—10 საათამდე.

ვ. ვ. მალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათამდე.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. ვ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1^{1}/_{2}$—2 საათამდე.

სტ. ალ. ვოინოვი — ხირურგია, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ვ. მალალაშვილი—შინაგანი და ბავშვების 5—6 საათამდე.

ვ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—8 საათამდე.

ვ. მალალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

საღამოს 9 საათიდან დილის 7-მდე ექიმები მორიგეობენ.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274. (წლ.)

გიგო გაბაშვილის მხატვრობის გამო

—

ხელოვნება ჰსახავს ცხოვრებას და ბუნებას. ცხოვრებას და ბუნებას თავისი ელფერი და ხასიათი აქვს. ცხოვრებაში ერთ მოვლენას მეტი მნიშვნელობა აქვს, მეორეს ნაკლები. ბუნებაც მრავალფეროვანია, ხან დიდებული, ხან წყნარი და მშვიდი, ხან გაუგებარი და საიდუმლოებით მოცული. ცხოვრების და ბუნების გამოსახვაში დიდი გამორჩევაა საჭირო.

ხელოვნების ღირსება დაფასდება ორნაირ მხრივ, შინაარსის მიხედვით და გარეგან ფორმის მხრივ. როცა ხელოვნების შინაარსად ხდება ცხოვრების ზედა-პირული ხასიათი, ან კაცის რომელიმე ფიზიკური ღირსება, ღონე, სილამაზე და სხვა ამ გვარი, ხელოვნებას ნაკლები მნიშვნელობა ეძლევა, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც იგი გვისახავს სიცოცხლის ძირითად მხარეს—თავგანწირულებას, მწუხარებას, სიცოცხლის და ბუნების საიდუმლოებას. ამ მეორე შემთხვევაში ხელოვნება უფრო ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს, უფრო გვაღელვებს და გვაფიქრებს.

მხოლოდ მარტო შინაარსი ვერას იზამს, თუ ხელოვნური ნაწარმოები გარეგნობის, ფორმის მხრივ სუსტობს. ყოველი საგანი და მოვლენა, რომელიც ხელოვნურ გამოსახვის შინაარსად ხდება, უნდა განსაზღვრული, მკაფიოდ ხორც-შესხმული იყოს. ამისათვის, ფორმის მხრივ, ყოველ უტყუარ ხელოვნურ ნაწარმოებს უნდა ჰქონდეს დროის და ადგილის ელფერი, უნდა განსაზღვრულ წრის, საზოგადოების და ერის ხასიათი ემჩნეოდეს, რადგან ხორც-შესხმულობა ხელოვნებას მაშინ დააჩნდება ხოლმე, როდესაც გამოსახვის საგანი განსაზღვრულ ცხოვრებიდან არის აღებული, ამ ცხოვრების დაღი და ფერი ამჩნევია.

მაშასადამე, ყოველგვარ ხელოვნურ ნაწარმოებს ორი ღირსება ნამდვილ ხელოვნებად ჰქმნის: ნაწარმოების შინაარსი უნდა გვაღელვებდეს და გვაფიქრებდეს, ნაწარმოების გარეგანი სახე ანუ ფორმა უნდა მკაფიოდ გამოსახული, ხორც-შესხმული იყოს. ამისათვის თუ შინაარსით ხელოვნური ნაწარმოები მსოფლიო, საზოგადო ხასიათისაა, თავის სახით, გარეგნობით, ფორმით იგი ყოველთვის ეროვნულ თვისებისაა. კაცობრიობა ასაზრდოებს ხელოვნებას, ეროვნება ფრთას უსხავს და აცხოველებს. კაცობრიული (მსოფლიო) და ეროვნული (განსაზღვრული) ორი უტყუარი თვისებაა ნამდვილ ხელოვნურ ნაწარმოებისა.

რაცა ვსთქვით, საზოგადოდ, ხელოვნებაზე, იგივე ითქმის მხატვრობაზედაც. და თუ ეს ასეა, შევიდეთ დიდ დარბაზში და გადავავლოთ თვალი ბ. გაბაშვილის მხატვრობას.

ჩვენ მხატვარს ასზე მეტი დიდი და პატარა „ტილო“ გამოუფენია. ყველა ამ ნაწარმოებს რომ დააკვირდეთ, დაინახავთ, რომ მხატვარს წერის და გამოსახვის ერთი ხასიათი არა აქვს შეთვისებული. თითქო რყევაშია ჩვენი მხატვარი, თითქოს ეძებს თავის თავს და ჯერ კიდევ ვერ გაუკაფავს საკუთარი გზა- ამ ძებნაში და რყევაში ის ხან ერთს სკოლას და მხატვარს წაჰბაძავს, ხან მეორეს, ხან მესამეს. მხოლოდ ამ გვარი მიბაძვა, ეტყობა, არ აკმაყოფილებს ჩვენს მხატვარს და აი, აქა-იქ სცდილობს დაგვანახვოს საკუთარი ხასიათი, ორიგინალური წერის მანერა.

ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი ბ. გაბაშვილის „ხევსურებზე“. აქ რეალიზმი გადაჭარბებულია. წითელი ფერადი ისეთის სიუხვით მოუცხია პირის-სახეზე, რომ კანის ავადმყოფობა გეგონებათ. ბ. გაბაშვილი რუსეთის მხატვარს რეპინს ჰბაძავს და ამ მხრით დაგვიმტკიცა, რომ „il est royalist plus que le roi“.

დიდ ყურადღებას იქცევს პატარა „ტილოები“ ბუხარის ცხოვრებიდან. ნაზი ფერადები, ბევრი სინათლე, ამ სინათლის და ჩრდილის თამაში—ყველა ეს ფრიად სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე. მაგრამ აქაც გაგონდებათ ამგვარივე ხასიათის პატარა ფაქიზი სურათები მეისონიესი. უნებლიეთ ადარებთ ამ სურათებს და აქაც მიბაძვის კვალს ჰპოულობთ.

არა ნაკლებ ყურადღებას იზიდავს ჩვენი მხატვრის მითოლოგიური შინაარსის „ტილოები“. ჩასუქებულ, უზარმაზარ ჟავნებს ხელში ჩაუგდიათ წყლის ქალი. პირუტყვულ გრძნობებით გამსჭვალულნი და თქვენა სიამოვნებით აღგზნებულნი კამეჩებივით ჰყრიან ისინი ზღვაში. ზღვა, თითქოს შეშფოთებული კაცთა ბინძურებით, ოდნავ მღელვარებს...ამავე ხასიათის მეორე „ტილო“ იმგვარსავე აღელვებულ ზღვას წარმოადგენს, რომელშიაც სცურავს ქალ-თევზა. აქაც, როგორც ზემოდ აღნიშნულ სურათებში, გაბაშვილი თავისას არას ამბობს. ბეოკლინის მითოლოგიურ შინაარსის სურათებს ჰქონია გავლენა ჩვენს მხატვარზე და ეს გავლენა იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ მოუკლავს მასში ორიგინალური ხასიათი და პიროვნება.

საბედნიეროდ, ამგვარი წაბაძვა და ქვეშევრდომობა არ აკმაყოფილებს ბ. გაბაშვილს. ყოველმა ნამდვილმა ხელოვანმა თავისი რამ უნდა სთქვას, დაგვანახვოს ნაწარმოებში ის, რაც სხვას არ აქვს. და აი გიგო გაბაშვილი ეძებს საშუალებას, რომლის დახმარებითაც დამოკიდებულების დარღვევა სწადია. აკვირდება ჩვენებურ ბუნებას, ხალხს, მეტადრე მთისას და მის გონებაში ისახება და ცხოველდება ეს ბუნება და ეს ხალხი. ღირს-შესანიშნავია, რომ როდესაც კი ბ. გაბაშვილი საქართველოს საზღვრებს არა სცილდება, მის კალამს მეტი გაბედვა და ძლიერება ემჩნევა ღ, როცა ჩვენი მხატვარი იმას გვეუბნება, რაც გულში აქვს, საკუთარ გულის ნადებს გვაუწყებს, მის სურათებს ცხოველმყოფლობა და თავისებურობა ეტყობა.

საქართველოში ჩვენი მხატვრის ყურადღებას ჯერ-ჯერობით მთა და მთის ხალხი იზიდავს. გაბაშვილი მთებიდამ ჩამოსვლას როგორღაც ვერ ჰბედავს, თუმცა კახეთში და ალაზნის ველზე დროგამოშვებით ჩამოისეირნებს ხოლმე. ხოლო ბარი და ველი ისე არ იზიდავს მხატვრის ფანტაზიას, ბევრს არას ეუბნება მის გულს. მთის საიდუმლოება, მთის მამაცი და გაბედული ხალხი, მისი თავგანწირულება, ვაჟკაცობა, კლდე-ღრეებისადმი სიყვარული—ყველა ეს აღფრთოვანებს ჩვენს მხატვარს.

აი უზარმაზარ კლდის წვერზე თითქოს მიწებებულია ხევსურის სოფელი. ორი სამი ქოხი და კოშკი აქა-იქ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ჯანღშია გახვეული. ქვემოდ რამდენიმე ხევსური თოფ-იარაღით ბრძოლისათვის გამზადებულია. სოფლის პირდაპირ ამართულია უშველებელი მთა და გვერდზე მოჩანს ხევი, აგრეთვე ბურუსით მოცული. აქ სისხლი უნდა დაიღვაროს, ხალხი ბრძოლისათვის გამზადებულია. ხევსური თავისს კლდეებს და ჯანღს არავის დაანებებს. ხოლო უზარმაზარი კლდე, მთა და ეს საიდუმლოებით მოცული ხევი არას ამბობს, არ აცხადებს თავისს სიხარულს—იგი სდუმს ნაღვლიანად და მჭმუნვარედ და უნებლიედ უბადებს კაცს ეჭვსა, რად ირჯება ეს ხალხი, რისთვის, უნდა დაიღვაროს სისხლი, როდესაც ეს მთაც და ყველა, რაც მის გარშემოა, ისეთი გამოურკვეველი, გაუგებარი და საიდუმლოებით მოცულია...აქ ჩვენი მხატვარი ადგილობრივ ცხოვრებიდამ აღებულ ფორმების საშუალებით აღუძრავს მაყურებელს საზოგადო შინაარსის გულის თქმას. ამ სურათით ჩვენმა მხატვარმა ხელოვნურად შეა-

ივერიელი

ერთა და შეაზავა ერთმანეთში საზოგადო აზრი და მისწრაფება და ადგილობრივი ცხოვრების კოლორიტი.

რამდენად ნაყოფიერია ამგვარი შეერთება ადგილობრივისა და საზოგადოსი, ეროვნული და მსოფლიო ხასიათებისა, ნათლად გვიმტკიცებს ჩვენი მხატვრის რელიგიურ შინაარსის სურათები. „საიდუმლო სერობა“-ში მოციქულები ჩვენებურად, ფეხ-მოკეცილები ტახტზე არიან ირგვლივ ჩამომსხდარნი. ორი ამგვარი შინაარსის სურათი, საუბედუროდ, არ დაუმთავრებია მხატვარს. ამისდა მიუხედავად, წერის კომპოზიციას ორიგინალური ქართველური ხასიათი ამჩნევია. დააკვირდით აგრეთვე „ხვთისმშობელს“. ეს ჩვეულებისამებრ, მშვენიერებით შემოსილი „მადონა“ არ არის. თქვენს წინ თალხებში ჩაცმული ბებერი, ჩვენებური დედაკაცია, დადაღულ პირისახისა. მისი დიდრონი, ჩამქრალი შავი თვალები ცრემლებით ავსილან. თვალების სიღრმიდან გამოიყურება დედის მწუხარება, ტანჯვა და სასოწარკვეთილება. დედის გულთან მისვენებულია გარდაცვალებული ქრისტე. აქ, საუბედუროთ, ერთი რამ არის, სხვისაგან ნასესხი, ჩამატებული. ქრისტეს თავის ერთის მხრიდან რაღაც საიდუმლო ცეცხლი მოჩანს—ალბად, მისტიური ნიშანია იმისი, რომ აქ ხდება არა ჩვეულებრივი მოვლენა. ეს მისტიური დამატება არღვევს სურათის რეალიზმს და, ჩვენის აზრით, ამცირებს მის ღირსებას. მიუხედავად ამისა, უნდა ვსთქვათ, რომ ამ სურათში მსოფლიო სიუჟეტი დიდის ოსტატობით არის გამოსახული ქართველურ ფორმებში. კაცობრიული და ეროვნული ერთმანეთს ანაყოფიერებენ, ასაზრდოვებენ და აცოცხლებენ.

ჩვენ გვგონია, რომ გიგო გაბაშვილი ივლის ამ გზით და ამ გზასვე დაადგება საზოგადოთ, ქართული მხატვრობა და ხელოვნება.

არჩილ ჯორჯაძე

საზღვარ-გარედ

ავსტრ-უნგრეთი. (გაგრძელება) „ინჟენერმა უბრძანათ, ყველანი მაღაროდან ასულიყვნენ, მაგრამ გვიანღა იყო. წყალმა თაღები გაარღვია და შიგ მაღაროში შევარდა. მუშები გასასვლელს ეცნენ, მაგრამ ყველამ ვერც კი მოასწრო გასასვლელთან მისვლა. წყალმა მაღარო გაავსო, 50 მეტრის სიმაღლემდე ავიდა და ვისაც კი მოასწრო, ხელად დაახრჩო; ზოგი კიდევ მხამიანმა გაზმა მოჰკლა. მაღაროში ყოველთვის შხამიანი გაზი დგას; გადმოვარდნილმა წყალმა ეს გაზი ძირს დასწია. ინჟენერი უბედურების დროს ძლიერ თავგანწირულად მოიქცა. მაღლა ასვლა გუნებაშიაც არ გაიტარა, ძირს მაღაროში დარჩა, ხელში ლამპა ეჭირა და ყველას უნათებდა, რომ როგორმე გზა გაეგნოთ და გადარჩენილიყვნენ. ასე ლამპით ხელში დაიღუპა ინჟენერიც. გადარჩენილთაგანი ბევრი ამბობს, რომ ინჟენერის წყალობით გადავრჩით სიკვდილსაო. განა ის 44 მენახშირე მუშა კი ამავე ინჟენერის წყალობით არ დაიღუპა ასე საცოდავად?

გაზეთი „ნაროდნი ლისტ“-ი სწერს: ჩეხ დეპუტატებს განზრახვა აქვთ, რამწამს პარლამენტი ხელ-ახლად შეიკრიბება, ამ უბედურების თაობაზე მთავრობას დაეკითხნენ და მოითხოვონ, რომ ბრიუქს ქვა-ნახშირის მადნებში მუშაობა აიკრძალოს, რადგანაც ამ მადნებში, ამ უბედურების გარდა, კვლავაც უფრო დიდი საცოდაობაც დატრიალებულა.

დაზარალებულთ ოჯახებისათვის ყველა მხრიდან ფულსა სწირავენ. ვენის ქალაქის მმართველობამ 2000 კრონა შესწირა, პრაგისამ კიდევ—1000 კრონა“.

ინგლისი. პარლამენტში ირლანდიელების მეთაურმა ჯონ-რედმონდმა 10 იანვარს მეფის ადრესის პასუხად ამნაირი წინადადება შეიტანა:

პალატა დიდის პატივის-ცემით უცხადებს თქვენ უდიდებულესობას: „ეხლანდელმა მთავრობამ ნამცეცი იმედი არ მისცა ირლანდიის ერს, რომ შემწეობას გაუწევს და ირლანდიაში ადგილ-მამულს ძალ-დატანებით შეისყიდის ლორდებისაგან; მთავრობის ასეთმა ქცევამ დიდი უკმაყოფილება და დიდი აგიტაცია გამოიწვია ირლანდიაში. იმის მაგივრად, რომ ხალხს გაჭირვება შეუმსუბუქოს და ამით სამართლიანი უკმაყოფილება მოსპოს, ირლანდიის მთავრობამ ხელ-ახლად განსაკუთრებული კანონები შემოიღო, სიტყვის თავისუფლება მოსპო და კანონიერსა და მშვიდობიან კრებებს უბრალოდ პოლიციის შემწეობითა ჰშლის; განგებ განსაკუთრებული სასამართლოები დააწესა, სადაც თავმჯდომარედ მთავრობის ნებით დანიშნულნი მოსამართლეები არიან; გამოცვლითაც მთავრობა თავის ნებითა სცვლის ამ თავმჯდომარეებს. ამისთანა უწესო სასამართლოების დადგენილი განაჩენის ძალით ირლანდიელ დეპუტატებს და სხვა მოქალაქეებს მთავრობა ციხეში ჰყრის მხოლოდ იმის გულისათვის, რომ ეს დეპუტატები და მოქალაქეები ამტკიცებენ, უფლება გვაქვს კრებები მოვახდინოთ და ჩვენ ამომრჩევლებსა და თანამოქალაქეებს საჯაროდ ველაპარაკოთო. დასასრულ, ვუცხადებთ თქვენ უდიდებულესობას, რომ ირლანდიის მთავრობის ქცევა ირლანდიის ერის უმეტესობას სრულებით არ მოსწონს, ამიტომ პარლამენტმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ირლანდიის მდგომარეობას და ეცადოს, საქმე ისე მოაწყოს, რომ ირლანდიის ერის უმეტესობა ნდობით უცქეროდეს მთავრობას“.

თავისი სიტყვის დასასაბუთებლად რედმონდმა დიდ-ძალი ფაქტი მოიყვანა. ირლანდიელების მეთაურმა სთქვა: ირლანდიის შეერთებული ლიგა მშვიდობიან საქმეს მისდევს და უმთავრესად იმას სცდილობს, რომ აგრარიული (მიწა-მამულის თაობაზე მომხდარი) ბოროტ-მოქმედება მოსპოს. მთავრობა კი ამისთანა კეთილ დაწესებულებას სდევნის. ირლანდიის მთავრობა ზნეობრივი ძალის შემწეობით კი არა, უბრალო ფიზიკური ძალის შემწეობით მოქმედებს. მე-XX საუკუნის დამდეგს ირლანდიის მთავრობა იმავე ხერხით იქცევა, რა ხერხითაც მე-XIX საუკუნის დასაწყისში იქცეოდა: ყოველი კაცი მოვალეა ამისთანა მთავრობას ებრძოლოს და აშკარადაც კი აუჯანყდეს.

რედმონდს ირლანდიის საქმეთა მინისტრმა უინდჰემმა უპასუხა. მინისტრმა სთქვა: ირლანდიელები იმაზე არ არიან აღელვებულნი, რომ მთავრობამ ადგილ-მამული ძალით არ შეისყიდა ლორდებისაგან და ლაპარაკის თავისუფლება მოისპო ირლანდიაში. მთავრობამ იმიტომ მიიღო სასტიკი ღონისძიება ირლანდიაში, რომ მთელ ამ ქვეყანაში დიდი აგრარიული აგიტაციაა გამართული; ამ აგიტაციის მეთაურები ყველგან ბოიკოტსა ჰმართავენ და ვინც კი ეურჩებათ, აშინებენ. დასასრულ მინისტრმა უთხრათ ირლანდიელ დეპუტატებს: თქვენ ისე მკაცრად ჰლაპარაკობთ ირლანდიის ეკონომიურ საქმეებზე, რომ ინგლისის ერის გულს ვერასოდეს ვერ მოიგებთ და მაგისთანა კილოთი თქვენ მხარეს ვერ გადაიყვანთო.

კამათი მეორე დღისათვის გადაიდო.

შეერთებული შტატები. „დეილი მაილ“-ს სწერენ ნიუ-იორკიდან: ამერიკაში ახალი საზოგადოება დაარსეს. ამ საზოგადოებას სახელად „თავისუფლების დამცველი საზოგადოება“ დაარქვეს. საზოგადოების მეთაურად, ამბობენ, პრეზიდენტის ბიძა, რობერტ რუზველტი და მოსამართლე ვან-ზოვენი არიანო. საზოგადოებას სწადია, რომ გამოჩენილი კაცების კომიტეტი შეადგინოს და დაავალოს, რომ ყოველნაირად ეცადოს, შეერთებული შტატების კონგრესს ძალა დაატანოს, რომ ბურებს დახმარება გაუწიოს. საზოგადოებას გადაუწყვეტია კონგრესთან ამ საქმის თაობაზე სახვეწარი დასწეროს. ეცდებიან, რომ ამ სახვეწარზე 2 მილიონ ხალხს მოაწერინონ ხელი.

✿ „ბერლინერ ტაგებლატ“-ს სწერენ ამერიკიდან: ჩიკაგოში ხალხმა დიდი კრება მოახდინა და დაადგინა: პრეზიდენტს კრიუგერს ვსთხოვოთ, რომ სწორედ იმ დღეს, როცა ინგლისის მეფე გვირგვინს იკურთხებს, შეერთებულ შტატებში მოვიდესო.

✿ გერმანიის იმპერატორი თავის ძმას პრუსიის პრინცს ჰენრიხს ამერიკაში ჰგზავნის. ვილჰელმ II-ს ამით სწადიან ამერიკის ერს თავისი მეგობრობა დაუმტკიცოს. თურმე პრინც ჰენრიხს ბევრი საჩუქარი მიაქვს პრეზიდენტ რუზველტისათვის. ამის თაობაზე ამერიკული გაზეთები სწერენ თურმე, რომ ამერიკის კონსტიტუციის ძალით პრეზიდენტს უფლება არა აქვს ვისგანმე საჩუქარი და ფეშქაში მიიღოსო.

✿ „ბერლინერ ტაგებლატ“-ს სწერენ ამერიკიდან: ჩიკაგოში ანარქისტებმა ხელ-ახლად გააჩაღეს თავიანთი პროპაგანდა. ემა გოლდმანი თავის გაზეთ „ფრაიჰეიტ“-ში („თავისუფლება“) ფანატიკურ წერილებსა ჰბეჭდავს. ყველა საჯარო კრებას მრავალი იტალიელი ანარქისტი ესწრობა. ჩიკაგოში სასტიკი ღონისძიებაა მიღებული, რომ ანარქისტებს რიგზე ყური უგდონ, როცა პრუსიის პრინცი ჰენრიხი ჩიკაგოში მოვაო.

დანია. წუთი-სოფელი პატარა დანიის დემოკრატიას უცვნია. ხალხიც ესენი ყოფილან და ქუდიც ამათ ჰხურებიათ. დანიას ამერიკის ახლო, ვესტინდოეთში კუნძულ კუბასთან პატარა კოლონია აქვს—ესაა ანტილიის კუნძულები. მას აქეთ, რაც შეერთებულ შტატების მთავრობა იმპერიალისტურ პოლიტიკას დაადგა და სხვა-და-სხვა ქვეყნებისა და კოლონიების შეძენას შეუდგა, ამ დანიის კოლონიასაც ყურადღება მიაქცია. ჯერ კიდევ განსვენებული პრეზიდენტი მაკ-კინლეი შეეგაჭრა დანიას: ანტილიის კუნძულები მოგვიყიდეთო. მას აქეთ ლაპარაკი აქვთ ამ კუნძულების გაყიდვაზე. დანიის წინანდელი კონსერვატიული მთავრობა თითქმის მზად იყო გაემეტებინა და გაეყიდნა ეს კუნძულები, მაგრამ შარშან ზაფხულს ეს მთავრობა გადადგა და მის მაგიერ ლიბერალური სამინისტრო მიიწვია მეფემ. ლიბერალურმა სამინისტრომ შეაყენა ეს საქმე. ამ დროს ანტილიის კუნძულების მცხოვრებლებმაც სახვეწარი მისცეს მთავრობას და სთხოვეს, შეერთებულ შტატების მთავრობას ნუ მიჰყიდით ჩვენ კუნძულებსაო. ძლიერ მადლიერები ვართ დანიის მთავრობისა, რიგიანად და კაცთ-მოყვარულად გვექცეოდა და არა გვგონია, რომ ჩვენც დაგვიშავებინოს რამე დანიისათვის, ამიტომ ნუ გაგვიმეტებთ და ნუ გაგვყიდითო.

უნდა იცოდეთ, რომ დანიის საკუთვნო ანტილიის კუნძულებზე შავ-კანიანი, ზანგი და ნარევი, დოლმა (ევროპიელისა და ზანგის ნამომავალი) ხალხი სახლობს მომეტებულ ნაწილად. ამერიკელებში ბევრი მეტად ცუდად ექცევა ზანგებს. ზოგიერთ ამერიკელს ზანგი ადამიანად არც კი მიაჩნია და იმის მოკვლას ცოდვად არც კი სთვლის. რასაკვირველია, ამერიკაშიაც შეგნებული და კაცთ-მოყვარე ხალხი წინააღმდეგია ამისთანა ბოროტებისა, მაგრამ ზანგებს კი ჯერ-ჯერობით მაინც ისევ ცუდ დღეს აყენებენ ხოლმე ამერიკელები. ხომ გახსოვთ, პრეზიდენტმა რუზველტმა განათლებული და პატიოსანი მოღვაწე ზანგი ბუკერ ვაშინგტონი რომ მიიღო, რა ამბავი ასტყდა მთელ ამერიკაში. კაცთ-მოყვარე პრეზიდენტი კინაღამ გიჟად არ გამოაცხადეს. იმისი მეგობრებიც კი ამბობდნენ, ამ ვიღაცა ზანგის მიღებით, პრეზიდენტმა სულ მთლად გაიტეხა სახელიო. ერთის სიტყვით, მომავალში თუ მოექცევიან რიგიანად, თორემ ჩვენ დროში კი ბევრი ამერიკელი მეტად ცუდად ექცევა ზანგებს. ეს იციან ანტილიის კუნძულების მცხოვრებლებმა და ამიტომაც სთხოვეს დანიის მთავრობას, რომ შეერთებულ-შტატებზე ნუ გაგვყიდითო.

დანიის დემოკრატიამაც ანტილიელების მხარე დაიჭირა. გამოჩენილი მწერლები, მაგალითად, გეორგ ბრანდესი, და ყველა თვალსაჩინო მოღვაწე მედგრად გამოესარჩლა ანტილიელებს. ძროხები ხომ არ არიან, რომ გაყიდოთო. ჯერ დაეკითხეთ, გაიგეთ მაინც, თითონ კუნძულები რას იტყვიან და იმის დაგვარად მოიქეცითო. ბოლოს მთელმა დემოკრატიამ ამოიღო ხმა და დანიის მთავრობამაც შეისმინა ხალხის თხოვნა და დაჰპირდათ, რომ კუნძულელების დაუკითხავად არ გავყიდით ანტილიის კუნძულებსაო.

ახლა გაზეთებმა ამბავი მოიტანეს, რომ დანიელებს დეპუტაცია გაუგზავნიათ მეფესთან და უთხოვნიათ, რომ ანტილიის კუნძულებს სულაც ნუ გაჰყიდითო. ჩვენც მადლიერები ვართ კუნძულელებისა და ისინიც ჩვენიო. მეფე დაჰპირებია დეპუტაციას: რაკი ხალხი თხოულობს, მთავრობაც აღარ გაჰყიდის კუნძულებსაო.

გერმანია. გერმანიის რეიხსტაგში შოვინისტმა დეპუტატმა ზატლერმა ადრე პოლონელების წინააღმდეგ მკაცრი სიტყვა წარმოსთქვა. ზატლერს მაშინვე კარგი პასუხი მისცა სოციალ-დემოკრატმა ლედებურმა, ეხლა კიდევ თითონ პოლონელებსაც უპასუხნიათ და ზატლერი ყველაფერში გაუმტყუნებიათ. სხვათა შორის, ზატლერს ისიც ეთქვა, რომ მარტო გერმანიაში ხომ არაა აღკრძალული დაპყრობილი ერის ენაო. ინგლისშიაც კი აღკრძალულია, რომ წერილის ადრესი ირლანდიურ ენაზე დაიწეროსო. ამის პასუხად ცნობილმა პოლონელმა პუბლიცისტმა ბ-ნ ედმუნდ ნაგანოვსკიმ (ამ ჟამად ლონდონში სცხოვრობს) დასწერა:

„ბ-ნი ზატლერი ძლიერა სცდება. ინგლისის ფოსტას ფიქრადაც არ მოჰსვლია ამისთანა წერების აღკრძალვა. ყოველ ირლანდიელს აქვს თავის წერილს ადრესი ირლანდიელ (გელის ენაზე) ენაზე დააწეროს და ირლანდიელები მხოლოდ იმიტომ არა სარგებლობენ ამ უფლებით, რომ ძველი ირლანდიური ენა თითო-ოროლამ-ღა იცის. ირლანდიაში საზოგადოებაა დაარსებული „ძველი გელის ენის დასაცველად“ და ინგლისის მთავრობა არა თუ არა ჰკრძალავს ამ საზოგადოებას, პირიქით, ფულითაც და ზნეობრივადაც ეხმარება.

ახალი ამბავი

✦ ჩვენ გადმოგვცეს, რომ სათანადო დაწესებულებებში კითხვაა აღძრული, **მაჰმადიანები გამოიწვიონ ჯარში** იმის ნაცვლად, რომ ვალდასახადი იხადონ. ამასთანავე განზრახვა აქვთ, თათრებისაგან შეადგინონ ცალკე პოლკები და ბატალიონები.

✦ ქალაქის თავის მოადგილემ მიმართა თხოვნით სამასწავლებლო კომისიას, რათამან შეიმუშაოს ის საკითხი, თუ რა ტიპის სკოლა უნდა დაარსდეს ქალაქში **დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის** ძის ორმოცდა ათის წლის სახელმწიფო მოღვაწეობის აღსანიშნავად.

✦ დღეს, 20 იანვარს, ტფილისში მოხდება შემდეგი **საზოგადო კრებანი**: არხეოლოგიურ საზოგადოების ტფილისის განყოფილებისა—1-ლ სავაჟო გიმნაზიის დარბაზში და ტეხნიკურ საზოგადოების კავკასიურ განყოფილებისა—ტფ. საქალაქო საბჭოს დარბაზში.

✦ საქართველოში ყოფნის დროს მაღალყოვლად უსამღვდელოესმა ფლაბიანემ აღძრა შუამდგომლობა სამიწად-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე, რომ **სახელმწიფო ტყეებიდან** სამრევლო-საეკკლესიო სკოლებს ეძლეოდეს მუქთად სატყეო მასალა. ამ ჟამად ხსენებულ სამინისტროში აღუძრავთ კითხვა, რომ 12 მაისს 1897 წ. კანონი, რომელიც მარტო რუსეთის შუაგულ გუბერნიებში მოქმედობს და რომლის ძალითაც სოფლის სასწავლებლებს, საეკკლესიო-სამრევლო სკოლებს, წერა-კითხვის სკოლებს უნდა ეძლიოს სახელმწიფო მიწა და სახელმწიფო ხე-ტყე მუქთად, კავკასიის სასოფლო პირველ-დაწყებით სკოლებზედაც გავრცელდეს.

✦ დღეს, 20 იანვარს, საქართველოს ახალი ეგზარხოსი ალექსი **პირველად სწირავს** სიონის ტაძარში.

✦ ჩვენ გვატყობინებენ, აღძრულია კითხვა იმის შესახებ, რომ **ჯამაგირები მოუმატონ** კავკასიის სამხედრო ოლქის აფიცრებს და სამხედრო მოხელეებს, რადგანაც ცხოვრების სიძვირის გამო, იმათ ჯამაგირი არა ჰყოფნით, რომ რიგიანად იცხოვრონ. ამის გამო, კავკასიის მთავრობის დავალებით, ცნობებსა ჰკრებავენ.

✦ ჩვენ გვატყობინებენ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო არდგენს პროექტს, რომლითაც სასანიტარო საექიმო თავშესაფარები **უნდა გაიხსნას** კავკასიაში ოსმალეთის საზღვრებზე—ერთი ყარსის ოლქში, მეორე ქუთაისის გუბერნიაში.

✦ რადგანაც ბაქოსა და განჯის გუბერნიებში და აგრეთვე დაღესტნის ოლქში დიდძალი **კალიის კვერცხი** აღმოაჩინეს, ამის გამო კავკასიის მთავრობამ აღძრა შუამდგომლობა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე, რომ ამ მავნე მწერის გასაწყვეტად წელს გადაიდვას 32,200 მანეთი.

✦ ესრედ წოდებული **ლოტკინის გორა** ნაძალადევთან ერთად ქალაქის ერთი ისეთი განაპირა მივარდნილი კუთხეთაგანია, სადაც მცხოვრებთა ღარიბი უმრავლესობა მოკლებულია ქალაქის საზოგადო დაწესებულებათ, მაგ. ქალაქის სამკურნალოთი სარგებლობას. უკანასკნელს ხანებში, როგორც შევიტყეთ, ქალაქის გამგეობამ ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას და წინადადება მისცა ქალაქის ექიმს ბ-ნ კასუმოვს, გამოიკვლიოს ეს კუთხე ყოველ მხრივ და წარუდგინოს გამგეობას მოხსენება, თუ როგორ მოეწყოს საქმე, რომ ამ კუთხის მცხოვრებლებს სამკურნალო შემწეობა მაინც ჰქონდესთ იმ პირობებით, როგორც ეს ქალაქის სხვა ნაწილებშია.

✦ დღეს, 20 იანვარს, **ასაფლავებენ ა. ს. ყორღანოვს**. ა. ს. ყორღანოვი 1875 წლიდან 1883 წლამდე ქალაქის საბჭოს ხმოსნად იყო. 1881 წელს ანტონ ყორღანოვმა ფითოევებთან და ფრიდონოვთან ერთად შესწირა ქალაქს 10,000 მან. სტიპენდიების დასაარსებლად მომავალში კავკასიის უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის გახსნის საქმე ჯერაც კიდევ დიდხანს გასტანს. ეს შეწირული ფული უწარმოებლად ინახებოდა 1890 წლამდე და, რასაკვირველია, იზრდებოდა კიდეც. 18 აპრილს 1890 წ. ვიდრე უმაღლეს სასწავლებლის დაარსება ტფილისში არ გადაწყვეტილა, შემომწირველთა თხოვნით, ამ ფულის სარგებლით დაიდგა ხუთი კრავატი ქალაქის ქალთა საავადმყოფოში. ეს კრავატები დადგმულია კავკასიის ჯარების ინტენდანტად ნამყოფის გენერალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფულმანის სახელზე. ამ ჟამად ეს თანხა შეადგენს 19,122 მან. და 31 კაპ.

◆ 18 იანვარს, ტფილისის პოლიცმეისტერმა მისწერა კავკასიის სამეურნეო გამოფენის ყოფილ გამგე-კომიტეტს, რომ გამოფენისათვის მან დაიქირავა 14 **პოლიციელი**, რომელთაც ნოემბრისა და დეკემბრის განმავლობაში ჯამაგირად 700 მან. ერგებათ და ჯერაც არ მიუღიათ; პოლიცმეისტერი სთხოვს კომიტეტს—დააჩქარეთ პოლიციელების გასტუმრებაო.

◆ ამას წინად კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებამ გარდასწყვიტა 300 მან. დაენიშნოს **ფიზიკურ ობსერვატორიას** ყოველ-თვიურ ბიულეტენების გამოსაცემად. გუშინ-წინ ობსერვატორიის გამგემ სთხოვა სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, საზოგადოებისაგან გადადებულ 300 მან. გამოგზავნეთო.

◆ კითხვა იყო აღძრული, რომ ქალაქის თავშესაფარებს **მუქთად დაეთმოს** მილის წყალი ქალაქის გამგეობამ ამის გამო შეკრიბა საჭირო ცნობები, რამდენი ეხარჯება ქალაქს მუქთა წყალი და რამდენი შეღავათიანის პირობებით. აღმოჩნდა, რომ წყალი მუქთად ეძლევათ მხოლოდ ქალაქის სასწავლებლებს, ქალაქის მუზეუმს და საზოგადო წიგნთსაცავს—180,000 ვედრო წელიწადში, ხოლო შეღავათიანი პირობით ($^{1}/_{8}$ კაპ.) ექვსს დაწესებულებას—წელიწადში 7,947,984 ვედრო წყალი და $^{1}/_{10}$ კაპ. ვედრო—506,891 ვედ. ამ გვარად ქალაქი ჰკარგავს მუქთი წყლის მიცემით წელიწადში 6,827 მან. და 90 კაპ. რადგანაც ქალაქის საბჭოში არა ერთხელ ყოფილა კამათი იმის შესახებ, რომ მუქთად არავის არ დაეთმოს წყალი, გამგეობამ შესაძლებლად სცნო, მიეცეს წყალი ქალაქის თავშესაფარებს მხოლოდ შეღავათიანის პირობით, $^{1}/_{8}$ კაპ. ვედროში.

◆ ქალაქის სასანიტარო საექიმო საბჭომ შეიმუშავა პროექტი, რომ **მიკროსკოპიულად გამოიკვლიონ** ხოლმე გასასყიდათ დაკლული გოჭები. საბჭომ დაადგინა, რომ ამ საქმეზე ყოველთვის სასტიკი ყურადღება იქონიონ, რადგანაც ძუძუს მწოვარა გოჭებიც კი ხშირად ავადმყოფები არიან ხოლმე ყვავილით და სხვა ჭირით, რომელიც, რასაკვირველია, ადამიანისათვის დიდი მავნებელია. ამ საქმის დაწვრილებით გამოკვლევა და პროექტის შევსება ქალაქის ექიმებს დაევალათ.

◆ „სიმენს და გალსკეს“ ფირმის თხოვნით, ქალაქის გამგეობამ ნება დართო ამ ფირმას, რომ **ცენტრალური სადგური** ელექტრონით განათებისა დადგას სოლოლაკში ი. ა. თაიროვის სახლში და აქედან ბოძები დადგას ელექტრონის სინათლისათვის სოლოლაკის, ბებუთოვის და სერგიევის ქუჩებზე; ამ განათებით ისარგებლებენ შემდეგი სახლები: კ. ალიხანოვისა, ნ. ფრიდონოვისა, ე. დავიდოვისა, ა. ევანგულოვისა, ი. ყორღანოვისა, სარქისოვისა და დავით სარაჯიშვილისა.

◆ ქალაქის ფერშლებმა ერთხმათ განაცხადეს, რომ ძალიან **ცოტა ჯამაგირი ეძლევათ**, თვეში 30 მანეთი, და ქალაქში სანოვაგის სიძვირის გამო, ძალიან უძნელდებათ ცხოვრება და სთხოვენ ქალაქის გამგეობას ჯამაგირის მომატებას. ქალაქის სასანიტარო-საექიმო საბჭომ დაადგინა, აღძრას შუამდგომლობა ქალაქის საბჭოს წინაშე, რომ ფერშლებს ჯამაგირები მოემატოთ 40 მანეთამდე.

◆ 11 იანვარს, ნაშუადღევის $4^{1}/_{2}$ საათზე, დ. ტუაფსიში **მიწა იძრა**. მიწის ძვრამ დიდ-ხანს არ გასტანა, მაგრამ საგრძნობი კი იყო („ჩერნ. ვესტ.“).

◆ ამ დღეებში **ერთი ამბავი მოხდა**. ბათუმიდან მატარებლით ქალაქში ჩამოვიდა გენერალ ასტაფიევის ქვრივი, რომელსაც ვოკზალზე ეკიპაჟი დახვდა და სახლში წაიყვანა. ვოკზალზე დარჩა ქალის მსახური და ბარგისთვის ეტლი დაიჭირა. ჩაალაგა 11 ნაჭერი ბარგი ეტლში და თითონაც თან უნდა წამოჰყოლოდა, მაგრამ უცბად მოაგონდა, რომ სადგურზე რაღაც დარჩა, გადმოხტა და შეირბინა სადგურში. ამ დროს თურმე მას უთვალთვალებდა ტფილისის მოქალაქე ასტვაცატუროვი, რომელიც შეახტა ეტლს და უბძანა წასულიყო. მეეტლემ დასძრა ეტლი და შიგ მჯდომის ჩვენებით მიიყვანა სოლოლაკში ძარკოზოვის სახლთან. ასტვაცატუროვი გადმოხტა და ნივთება გადმოალაგა, მხოლოდ სახლში არ შეიტანა და იქვე დააწყო, მეეტლეს დაწესებული 75 კაპ. მისცა და გაისტუმრა; მაგრამ მეეტლე არ დაიძრა და ჰკითხა იმას: „ეგ ნივთები შენიაო?—მაშ ვისი უნდა იყოს, რა გინდა?—უპასუხა იმან. „მერე რატომ შინ არ შეგაქვს?“ კიდევ ჰკითხა მეეტლემ—რა შენი საქმეა, შე ოხერო, ფული მიგიღია, გასწი, დაიკარგე აქედან“! ამ სიტყვებზედ მეეტლემ პოლიციელს დაუძახა. ასტვაცატუროვმა მიანება ნივთებს თავი და გაიქცა; პოლიციელმა დაუძახა ამხანაგს, რომელიც წინ შეეხეჩა იმას. ასტვაცატუროვმა ველარაფერი მოახერხა და შევარდა მალინინის ეზოში და შეშებში დაიმალა; შეჰყვნენ პოლიციელები და ფეხით გამოათრიეს. ასტვაცატუროვი ქურდობაში გამოტყდა.

ქუთაისის ახალი ამბები

~ 20 იანვარს ქუთაისის საოლქო სასამართლოს განყოფილება მიემგზავრება ბათუმს ადგილობრივ საქმეების განსახილველად.

~ „ნოვ. ობოზრ.“-ს სიტყვით, ქუთაისის საქალაქო გამგეობას განზრახვა აქვს ქუთაისის პირველ დაწყებითი საქალაქო სკოლა საქალაქო სასწავლებლად გადააკეთოს, თანახმად 1872 წლის წესებისა და დებულებისა.

~ ქუთაისის ანტისანიტარულ მდგომარეობის შესახებ არა ერთხელ აღძრულა კითხვა, მაგრამ არა გამოდის რა! ძალიან ცუდ მდგომარეობაშია კერძოთ აქაური სასტუმრო-რესტორანები. ქალაქში, სადაც 30 ათას მცხოვრებზე მეტია, ვერ შეხვდებით რიგიანად და სუფთად მოწყობილ რესტორანს ან სასადილოს; სასტუმროებზე ხომ აღარ ითქმის-რა. შეიძლება იფიქროთ, რომ სასტუმროებისა და რესტორანების პატრონები მცირე ფასებს იღებენ „პასაჟირებისაგან“, მაგრამ „არ შეგჭამოთ ჭირმა“;—ფასები ადგილობრივ სასტუმროებში და რესტორანებში გაცილებით მეტია, ვიდრე დიდ ქალაქებში. სამაგიეროდ უსუფთაობით ვერც ქ. ბერდიჩევის სასტუმროები და რესტორანები შეედრებიან... ქალაქის სასანიტარო ექიმის განკარგულებით, ზოგიერთ სასტუმროებში შემოღებულია ვატერ-კლოზეტები, მაგრამ მათში დღემდე ერთი წვეთი წყალი არ ჩასხმულა და უწყდოთ რა გამოსადეგია ეს „რეფორმა“. ხანდისხან სასტუმროებში გადამდებ სენით ავადმყოფნიც არიან, ხოლო მათ წასვლის შემდეგ არავითარ დეზინფექციას არ ახდენენ, რის გამოც ავადმყოფობა ქალაქშიაც ვრცელდება... ქუთათურებს იმედი აქვთ, სასტუმრო-რესტორანებსაც არ დასტოვებს უყურადღებოდ ჩვენი ქალაქის გამგეობა.

~ ქუთაისის გადასახადთა ინსპექტორი ბ. ჩიქოვანი, როგორც გადმოგვცეს, სხვაგან გადაჰყავთ.

დაბა-სოფლები

თელავიდან გვწერენ 14 იანვარს, წმ. ნინოს დედათა სასწავლებელმა ჩვეულებრივად იდღესასწაულა წმ. ნინოს დღეობა. მაზრიდან ბევრი წარჩინებულნი პირნი იყვნენ მოწვეულნი. 11 საათზე დიდი დარბაზი ხალხით აივსო. პარაკლისი მამა ხელაშვილმა გარდაიხადა. პარაკლისის დროს მოსწავლეთა გუნდი გალობდა ბ-ნ ახვლედიანის დირიჟორობით. შემდეგ პარაკლისისა სასწავლებლის გამგეობის საქმის მწარმოებელმა წაიკითხა წლიური ანგარიში, რომლიდანაც სჩანს, რომ სასწავლებლის ნივთიერი მხარე თან-და-თან უმჯობესდება.

მოწაფეთათვის საცეკვაო საღამო გაიმართა და მხიარულად გაატარეს დრო.

—

სიღნაღიდან გვწერენ: მათი მეუფება საქართველოს ეგზარხოსი ალექსი ამ თვის თორმეტს, საათის ოთხზე მობრძანდა ტფილისიდან სოფელ ბოდბის წმ. ნინოს მონასტერში. ეგზარხოსს გზაზე მიეგებნენ: მაზრის უფროსი, ბლაღოჩინები—ბეგიევი და ღვთისავაროვი და რამდენიმე მღვდელი. გზაზე მათმა მეუფებამ დაათვალიერა ნუკრიანის ახლათ განახლებული და გამშვენებული წმ. გიორგის ეკლესია და ძრიელაც მოიწონა. აქვე ხალხს რამდენსამე ხანს ესაუბრა. ნუკრიანიდან ეგზარხოსი მონასტერში მიბრძანდა, სადაც, მონასტრის ეზოში, დიდ ძალი სოფლელი ხალხი დაახვედრეს. დამსწრენი აკურთხა და საათის შვიდამდინ მოსვენებას მიეცა. შვიდ საათზე ილოცა და მეორე დღეს, 13 იანვარს, სწირა და აკურთხა მონასტერში ახლად აშენებული წმ. იუვენალის სახელობაზე აგებული ეკლესია. თანამწირველად ახლდნენ ტფილისიდან მოყოლილნი დეკანოზი გოსტორგოვი და მღვდელი ან. თოთიბაძე ადგილობრივი მონასტრის მღვდლებით. წირვის შემდეგ მცირე საუზმე მიირთვა და ცოტა დასვენების შემდეგ, საათს სამზე ქ. სიღნაღს ესტუმრა. სიღნაღში, მთავარ-ანგელოზის ეკლესიასთან მათ მეუფებას დახვდნენ: სამოქალაქო და მარინეს სასწავლებლის მოწაფენი მასწავლებლებით, ამქრები ბაირაღებით და ქალაქის მამასახლისი პურ-მარილით. პურ-მარილის მირთმევის შემდეგ მათი მეუფება მიუბრუნდა იქვე მდგომ სომხების ბლაღოჩინს, გამოკითხა სამღვდელოებაზე და მოისურვა იმათი ეკლესიის დათვალიერება. ეკლესიის კარებში დახვდა დეკანოზი ბეგიევი მოკლე სიტყვით. ეგზარხოსმა ეკლესიაში რამდენიმე ცნობები იკითხა ქართველების ვითარებაზე და მათ სარწმუნოებრივ მდგომარეობაზე. ეკლესიის დათვალიერების შემდეგ გამობრძანდა ეზოში და აქ ადგილობრივი მოხელენი მიიღო. აქ ყურადღება მიაქცია ხაზინადარ ვინაგრადოვს და შეეკითხა, იცნობდა თუ არა ის სასულიერო კომპოზიტორ ვინაგრადოვს ან ამისი რა იყო ის. ვინაგრადოვმა უპასუხა, რომ იცნობდა და ბიძა იყო ამისი. მერე ინება სომხების ეკლესიის დათვალიერება და იქიდან დეკანოზ ბეგიაშვილთან მიბრძანდა. აქედან მაზრის უფროსისას მიბრძანდა სადარბაზოდ და მერე საათის $4^{1}/_{2}$ ისევ მონასტერში დაბრუნდა. 14-ში ეგზარხოსმა სწირა წმ. ნინოს ტაძარში და 15 იანვარს, მადართ ეკლესიებისა და სამინისტრო სკოლის დათვალიერების შემდეგ ტფილისშივე წაბრძანდა.

რუსეთის ქრონიკა

∝ „იურიდიჩ. გაზ“-ს სიტყვით, სახელმწიფო საბჭოს წევრის ნ. ნ. გერარდის თავმჯდომარეობით შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაევალა განიხილოს ახლად შედგენილი პროექტი უკანონოთშობილთა შესახებ.

∝ ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორმა ფინლანდიის სენატის წინაშე აღძრა საკითხი იმის შესახებ, რომ საჭიროდ ჰხედავს თუ არა სენატი ყოველ იმ პირს, რომელსაც სახელმწიფო სამსახური სურს ფინლანდიაში, მოეთხოვოს რუსულის ენის ცოდნის მოწმობა? („ნოვ. ვრ“).

∝ სამხედრო-საექიმო აკადემიაში დაარსდა საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალა შეიმუშაოს ახალი კანონ პროექტი აკადემიის სტუდენტების დაწესებულებათა და აკადემიის წესების შესახებ. კომისიამ უნდა განიხილოს საკითხი—საჭიროა თუ არა აკადემიაშიაც იქმნას შემოღებული ის წესები, რომლებიც საერო განათლების სამინისტრომ ამ დღეებში დაამტკიცა უნივერსიტეტებისათვის.

∝ გზათა სამინისტრომ საჭიროდ სცნო, აღიძრას კითხვა საკანონმდებლო წესით, რომ რუსეთის რკინის გზების საზოგადო წესდების 26-ე მუხლი, შესახებ უბილეთო მგზავრთა სიარულისა რკინის გზებით, შეიცვალოს შემდეგის რედაქციით: „მგზავრი, რომელიც თავის ნებით მიდის უფროსი კლასის ვაგონით და ბილეთი კი უმცროსი კლასისა აქვს, ერთი ორად იხდის ამ ორი კლასის ბილეთების ფასის განსხვავებას იმ სადგურიდან, რომელზედაც ბილეთი აიღო, უკეთუ ეს სადგური უფრო ახლოა, ვიდრე იმის წინა საკანტროლო სადგური და საკანტროლო სადგურიდან, თუ ის სადგური, სადაც ბილეთი აიღო, უფრო დაშორებულია, ვიდრე საკანტროლო სადგური“.

ფოთის ქალაქის საბჭო

15 იანვარი

თავჯდომარემ, ბ-ნმა ი. ფანცხავამ, მოახსენა კრებას, რომ ქალაქის მოურავი ბ-ნი ნ. ნიკოლაძე ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო საბჭოს სხდომას, ამისთვის მოგახსენებთ იმას, რაც ქალაქის მოურავს უნდა ეუწყებინა დღეს საბჭოსათვის: „6 იანვარს პეტერბურგში გარდაიცვალა ინჟენერი ნ. ი. ვოზნესენსკი, პროფესორი გზათა საინჟინერო ინსტიტუტისა, წევრი წყალთა და ხმელთა მიმოსვლის კომიტეტისა და სავაჭრო ნაოსნობისა და ავტორი იმ ნავთ-სადგურის პროექტისა, რომელიც განხორციელებულია ფოთის ქალაქის სამმართველოსაგან. განსვენებულმა როგორც პორტის პროექტის შედგენით, ისე მუდმივი ენერგიული დახმარებით ქალაქის მიერ აღძრულ ყოველ შუამდგომლობის შესახებ კომერციულ პორტების მომწყობ კომისიაში, წყალთა და ხმელთა მიმოსვლის კომიტეტში, გზათა სამინისტროში და აგრეთვე მრავალი ძვირფასი დარიგებით და ჩვენებით, რომლითაც მე ვხელმძღვანელობდი ყოველ ძნელ შემთხვევაში ჩვენი პორტის აშენებისათვის, ქალაქ ფოთს იმდენი სამსახური გაუწია, რომ მცხოვრებმა არას ოდეს არ უნდა დაივიწყოს მისი ხსოვნა და სახელი. ვაუწყებ-რა წუხარისა და მადლ-აზროვანი მოღვაწის გარდაცვალებას ქალაქის საბჭოს, მე არ ვეჭვობ, რომ ის განსვენებულის დაუვიწყარ სამსახურს პატივს სცემს არამც თუ ფეხზე ადგომით და სამძიმრის გამოცხადებით მის ოჯახობასთან, არამედ მიათვისებს კიდეც მის სახელს ერთ-ერთ ნავთსადგურის ნაპირა ქუჩას“. საბჭომ ერთ-ხმად მიიღო ქალაქის თავის წინადადება.

შემდეგ თავჯდომარემ წაუკითხა საბჭოს მოხსენება ქალაქის მოურავისა პეტერბურგში ყოფნის შესახებ: „რადგან ოცდა-რვა ნოემბერს 1901 წელს მიწვეულ ვიყავი სავაჭრო საზღვაოსნო განყოფილებისაგან, ამისათვის 6 დეკემბერს გავემგზავრე პეტერბურგში, რომ მონაწილეობა მიმეღო იმ საპორტო კომიტეტში, რომელსაც მინდობილი ჰქონდა განაწილებინა იმპერიის ყველა სანავთ-სადგურო ქალაქებისათვის საპორტო შემოსავალი. კომიტეტის სხდომა, რომელსაც უნდა განეხილა ფოთის ნავთ-სადგურის საჭიროებანი, დანიშნული 17 დეკემბრისათვის, შესდგა მხოლოდ 20 დეკემბერს, ყველა დაწესებულებათა წარმომადგენლების თანდასწრებით, რომელთაც კი საპორტო საქმეში ხმა ჰქონდათ. საპორტო საქმეების კომიტეტმა კანონიერად სცნო ჯერ-ჯერობით დაეკმაყოფილებინა ნავთსადგურის აუცილებელი საჭიროებანი და ხარჯი; განხილვა და გაუმჯობესება პორტის მდგომარეობისა კომიტეტმა გადადვა მანამდის, სანამ ამ საქმის გამოსარკვევათ ცალკე საპორტო საკრებულო დაინიშნებოდეს, რომელმაც ყოველ ნავთ-სადგურის საჭიროების დასაკმაყოფილებლად საჭირო ცნობა და მასალა უნდა წარადგინოს ცალ-ცალკე თითოეულ საგნის შესახებ. რადგან საქმემ ასეთი მიმდინარეობა მიიღო, მე გადავსწყვიტე, გამეყო ფოთის საბჭოს მიერ მოწონებული ხარჯთ-აღრიცხვა, რომ უეჭველად დაეკმაყოფილებინათ ის ხარჯი, რომელსაც მოითხოვს ისეთი სამუშაო საქმე, რის გადადება შეუძლებელი იყო. დანარჩენ საჭიროებათა დაკმაყოფილების დროებითი შეჩერება პორტის საქმეს არავითარ ზარალს არ მოუტანს და მომავალში მათი დაკმაყოფილება უფრო ადვილი იქნება, რადგან საპორტო კომიტეტი თვითონვე დარწმუნდება მათ საჭიროებაში და შესაფერ ხარჯსაც გამოიღებს. საპორტო საქმეთა კომიტეტს ეძნელებოდა ხარჯის გამოღება და ნებართვა ზოგიერთ სამუშევარისა; მაგრამ შემდგომ ხანგრძლივის კამათისა კომიტეტმა მოიწონა ყველა ჩემი შუამდგომლობა და გადადვა საზოგადო საიმპერიო საპორტო შემოსავლიდან ფოთის ქალაქის გამგეობის განკარგულებაში შემდეგი ფული: პირველ ობლიგაციურ სესხისა და სარგებლის გასასტუმრებლად—75,225 მან., მეორე ობლიგაციურ სესხისა და სარგებლის გასასტუმრებლად—109,542 მან., პორტში მიმავალ ქუჩების შესაკეთებლად და შესანახად—20,771 მან., პორტის გზის შესაკეთებლად—1338 მან. ყოველ წლივ სახარჯოთ ელექტრონით გასანათებლად წინა ნავთსადგურისათვის—7,741 მანეთი. შიდა აუზის ელექტრონით გასანათებლად—72.773 მან. და პორტის მიდამო ჭაობის დასაშრობათ—150.000 მან. მდინარე რიონისა და კაპარჭას შუა შესაერთებელ არხის გასაყვანად გადადებულია—26.051 მან.; სულ ფოთის ქალაქის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საზოგადო საიმპერიო საპორტო შემოსავლიდან გადადებულია 463.441 მან., ხოლო მომავალში კი ყოველ წლივ გადადებულ იქმნება 214.617 მანეთი. რაც შეეხება ფოთის ქალაქის დანარჩენ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, ეს დარჩება იმ დრომდე, სანამ ამ საგნის შესახებ გადაწყვეტილებასა და დასკვნას არ წარადგენს ფოთის მომავალი საპორტო საქმეთა საკრებულო“.

ქალაქის თავის მოხსენების წაკითხვის შემდეგ საბჭომ ერთხმად დაადგინა: მადლობა გამოუცხადოს ქალაქის მოურავს ბ-ნ ნ. ნიკოლაძეს დაუღალავი და ნაყოფიერი შრომისათვის ქალაქის საკეთილდღეოდ.

საბჭოს წარდგენილი ჰქონდა დასამტკიცებლად ქალაქის სასწავლებლის ორ-სართულიან ქვის შენობის იჯარით გაცემის საქმე. როგორც მოგეხსენებათ, საჯარო ვაჭრობის დროს ეს საქმე ა. პრავედნიკოვს დარჩა 68,000 მანეთში. ვაჭრობის გათავების შემდეგ გამგეობამ განცხა-

დება მიიღო მთავარადრე თ. კეშელავასაგან, რომ 67.000 მან. მე ავაშენებ სასწავლებლის შენობას. საბჭოში ამ საქმის გადაწყვეტის შესახებ დიდი კამათი ასტყდა: ზოგს უნდოდა ერთისათვის მიეცათ და ზოგს მეორესათვის; ბოლოს კენჭის ყრას მიჰმართეს, მაგრამ ვერც ამ გზით გადაწყვიტეს ეს საქმე, რადგანაც ხმოსნები კენჭის ჩამოტარების დროს ორ თანასწორ ნაწილად გაიყვნენ.

ი. იანეთელი.

წერილი კავკასიდან

14 იანვარს ქართველთა განმანათლებელ წმიდა ნინოს, დღესასწაულის დღეს, აქ ქართველების სკოლის ეკკლესიაში მწირველი ბრძანდებოდა ყოვლად უსამღვდელოესი ეპისკოპოსი ვლადიკავკავისა და მოზდოკისა ვლადიმერი, ადგილობრივ სამღვდელოების და ამავე ეკკლესიის მღ. გ. ნათაძის თანამწირველობით. წირვის დროს ყოვლად სამღვდელო ვლადიმერი ზოგიერთს ასამაღლებლებს ქართულად ბრძანებდა; განიცადეზე მათმა უსამღვდელოესობამ ვრცელი და მხურვალე ქადაგება წარმოსთქვა წმ. ნინოს მოღვაწეობაზე და საზოგადოდ იმ დიდს მნიშვნელობაზე, რაც შეუძლიან აღასრულოს ქრისტიანობის მოსიყვარულობით გამსჭვალულმა ქალმა საზოგადო თუ კერძო ოჯახურ ცხოვრებაში.

ნამეტნავათ მგრძნობიერედ იყო ნათქვამი დასაწყისი ქადაგებისა, როდესაც ყოვლად სამღვდელომ წარმოსთქვა:

„როდესაც ვხედავ, რომ ხალხი, ეროვნება, რომელსაც ათასგვარი ცხოვრების ქარტეხილი გამოუვლია, როდესაც ვხეავ, რომ ეროვნებას, მრავალ წარმართაგან დევნულს და წამებულს ქრისტეს ჯვარისათვის, სავსებით და შეუმწიკვლელად დაუცავს გულის სიღრმეში თბილად და ფუფუნებით გაუღვიძებია ნაპერწკალი ღვთიურის სიტყვისა და ქრისტეს სარწმუნოებისა, როდესაც ვხედავ, რომ ერთი მუჭა ამ ეროვნებისა უცხო ტომთა შორის გადმოხვეწილი, გულის სავსებით და სულის ძლიერებით, ძმურის, ერთობის მეცადინეობით და სიყვარულით სცდილობს დაიცვას, და განავითაროს ეს წმიდათა წმიდა, ეს საუნჯე ყოველივე ეროვნებისა, სარწმუნოება, ენა და ზნე ჩვეულება, როდესაც ყველა ამას ვხედავ, გული სიამოვნებით მევსება და სასოებით მოვიხსენიებ იმ მადლიანს ზეცით ცხებულს მანდილოსანს, რომელმაც ქრისტეს ჯვარით შემუსრა უსულო კერპთა ბატონობა და ივერიაში, თქვენს ქვეყანაში, შემოიტანა ის ნათელი და ის საუნჯე, რომელსაც ეხლა ასე სიფაქიზით უფრთხილდებით და ინახამთ“...

შემდეგ დაწვრილებით მოუთხრა მლოცველთ წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში და სხვაგან. და ბოლოს უსურვა ყველა ქართველებს ერთობა, ძმური სიყვარული და ყოველ საქმეში ისეთი წინ სვლა-წარმატება, როგორც დღემდისინაც ყოფილა. ხალხი დიდათ ნასიამოვნები დარჩა საყვარელ მღვდელ-მთავრის გულ-მხურვალე თანამოზიარე და მოსიყვარულე სიტყვით.

წირვაზე გალობდა ორი გუნდი ერთი ეპისკოპოზისა ბ-ნ ნიკიტინის ლოტბარობით და მეორე ქართული სკოლის მასწავლებლის ნ. კურდღელაშვილის ლოტბარობით. ქართული გალობა მწყობრი და სასოებიანი ძალიან მოეწონა ყოვლად სამღვდელოსაც, განსაკუთრებით „შენ გიგალობ“. პარაკლისის შემდეგ ყოვლად სამღვდელომ ნაბედრენიკით დააჯილდოვა მღ. გ. ნათაძე მის ერთგული და მხნე მოღვაწეობისათვის. შემდეგ ყოვლად სამღვდელო მიიწვიეს საერთო ტრაპეზზე, სადაც ადგილობრივ ქართველებს ჩვეულებად აქვთ ყოველ წელს ნინობას ერთად მოიყარონ თავი და საერთო სადილით გაიერთიანონ თავისი საერთო გულის ნადები. მან სიამოვნებით მიიღო მიწვევა და ქართულ გულ-ახდილ და გულ-გაშლილ სუფრაზე გაიმართა ტკბილი საუბარი და შექცევა. აქ სკოლის გამგემ პ. ა. გოთუამ და მას მერმე ტ. ვ. ბ-ნმა კახიძემ შესაფერისათ და გაუზვიადებლად აღნუსხეს ყველა ის მამობრივი ზრუნვა-თანაგრძნობა და ხელის წარმართვა, რაც ყოვლად სამღვდელოს მიუძღვის კავკავულ ქართველთა წინაშე და საზოგადოების მხრივ მხურვალე მადლობა გამოუცხადეს. ყოვლად სამღვდელომაც საპასუხო სიტყვაში თავის მხრივ სრული კმაყოფილება და სიამოვნება გამოსთქვა ქართველ საზოგადოების მოღვაწეობაზე, და უსურვა, რომ მომავალშიაც ასეთ წარმატების გზით ევლოთ როგორც დღემდისინ. სადილზე დაესწრნენ აგრეთვე ქალაქის სამღვდელოება, დირექტორი სავიჩი, ქალაქის თავი ფრილკოვი, პოლიცმეისტერი სკოლების ინსპექტორი უსპენსკი, საგანგებო მინდობილების მოხელენი თავ. მაყაევი და მამაცაშვილი ადგილობრივ საშუალო სასწავლებელთა ქართველი მასწავლებლები და მრავალი ხალხი, შესანიშნი სიტყვა წარმოსთქვა ბ-ნმა სკოლების ინსპექტორმა უსპენსკიმ ყოვლად სამღვდელოს წინაშე და აღნიშნა, რომ მთელს ჩვენს დირექციაში ეს ქართული სასწავლებელი სამაგალითო სასწავლებლად არის მიჩნეული როგორც სწავლა აღზრდის მხრივ, აგრეთვე ეკონომიურადაც. საპატიო სტუმრები 5 საათზე დაიშალნენ.

ამავე დღეს, საღამოს 7 საათზე, სკოლისავე დარბაზში გამართულ იქმნა მოსწავლეთათვის „შობის ხე“, რომელმაც დიდ ძალი ხალხი მიიზიდა. გამართულ იქმნა ბუნდოვანი სურათები გამგის გოთუას, კახიძის, ბოცვაძის, კურდღელაშვილს და მღვდლის გ. ნათაძის მონაწილეობით. შობის ხე მშვენივრად მორთულ მოკაზმული იყო ქალბატონ გოთუასგან. სურათების შემდეგ ყმაწვილებმა იმღერეს რამდენიმე ქართული და რუსული სიმღერები, ყმაწვილები სიმღერებს შუა ამბობდნენ სხვა-და-სხვა ლექსებს ქართულად და რუსულად; დასასრულ ყველა მოსწავლეთ დაურიგეს თითო პარკი ტკბილეულობა. გამხიარულებული ყმაწვილები და მათი მშობლები კმაყოფილნი დაიშალნენ.

წარსულს 1901 წელს 26 დეკემბერს „ქართულ საღამოდან“ რომელიც აქაურ ქართულ სკოლის სასარგებლოდ იყო გამართული, წმინდა შემოსავალი აღემატება თურმე 1200 მანეთს. წლევანდელი საღამო უწინდელზე უფრო მოწყობილი იყო, ხალხიც დიდ-ძალი დაესწრო და უფრო სხვა-და-სხვაობაც ეტყობოდა; საღამო დაიწყო ადგილობრივ სიმღერის მოყვარულთაგან შემდგარ გუნდის სიმღერით, რომელსაც ლოტბარობდა ბ-ნი კუხიანიძე. სხვა ფრივ მორთულობა და მოწყობა წარსულ წლებს სჯარბობდა. სწორედ რომ აქაურ ქართველ მცხოვრებთ ძარღვი ამ სკოლაში ჰფეთქავს, და ღირსეული დაწესებულება ღირსეულ მოთავეების და ხალხის დახმარებით სასურველად ასრულებს თავის დანიშნულებას.

დამსწრეთაგანი.

მცირე შენიშვნა ქართულ ანბანის შესახებ

„ცნობის ფურცლის“ № 1688-ში ალ. მირიანიშვილი ამბობს, რომ მხედრული ანბანი წარმოშობილია ნუსხა ხუცურისაგან და ნუსხა-ხუცური ასომთავრულისაგან. ამნაირი აზრი თითქმის ყველგან მიღებულია დღეს, მაგრამ, მგონია, ის კი არავის განუმარტავს და აუხსნია, როგორ მოხდა, რომ ორი ანბანი, მხედრული და ხუცური, არსებობენ დღემდის, რატომ საეკკლესიო წიგნებშიაც არ გაბატონდა მხედრული ანბანი. თუ წერის ვარჯიშობით განვითარდა და შემუშავდა უფრო მოხდენილი და ლამაზი ანბანი, უვარგისს რალას ჩავცივებოდით და ვერც ახლა ვანებებთ იმას თავს! ესეც ხომ ცხადი უნდა იყოს, რომ ანბანის შემუშავება-განვითარება სასულიერო პირთა მეოხებით მოხდებოდა, რადგან მწიგნობრობა ბოლო ხანებამდის თითქმის სასულიერო პირთა ხელში იყო. სასულიერო პირებმა გაამშვენიერეს და ეს მშვენიერი ანბანი მერე ეკკლესიისათვის აღარ გამოიყენეს? მხედრული რომ ბუნებრივი განვითარება იყოს ხუცური ანბანისა, მაშინ ჩვენ ერთი ანბანი გვექნებოდა დღეს. ამიტომ ჯერ არ ჩაითვლება უარ-ყოფილათ ის აზრი, რომ მხედრული ანბანი უძველესია ხუცურზე.

ბლაღოჩინი მღვდელი ქრისტეფორე ციცქიშვილი.

წერილი რედაქციის მიმართ

I

ბ. რედაქტორო! გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა მოვახსენო ქართულ დრამატიულ საზოგადოების ეხლანდელ გამგეობას, რომელმაც, მიუხედავათ თვისის გაჭირვებულის მდგომარეობისა, ჩემს, ავადმყოფ მსახიობის, შევიწროებას ყურადღება მიაქცია და ბენეფისი შეღავათიანი პირობებით მომცა, რითაც მე რამდენისამე ხნით ნივთიერათ უზრუნველ მყო.

მარიამ საფაროვ-აბაშიძისა.

II

ბ. რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ქ. შ. წ. კ. საზოგადოების გამგეობას და ბ. ი. ს. გოგებაშვილს, რომელთაც უფასოთ დაუთმეს დურგალთა ამხანაგობის შეგირდებს— გამგეობამ-ათი ცალი „ბუნების კარი“ და ამდენივე „ანგარიში“ ჯაჯანაშვილისა და ბ. გოგებაშვილმა—10 ც. „დედაენა“.

ტფილისის დურგალთა ამხ. გამგეობა.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

18 იანვარი

ბერლინი. 17 იანვარს იმპერატორთან ვახშმად მიწვეულნი იყვნენ ფლიგელ-ადიუტანტი თავადი ობოლენსკი, რუსეთის ელჩი, რუსეთის მხედრობის და ზღვაოსნობის წარმომადგენელნი, იმპერიის კანცლერი და იმპერატორის ალექსანდრესი და რუსეთის დედოფლის პოლკების უფროსები.

სარატოვი. ქალაქის თვით მართველობამ გადასწყვიტა მონაწილეობა მიიღოს გოგოლის, დობროლიუბოვის და ჟუკოვსკის მოგონების დღესასწაულში.

პეტროზავოდსკი. წყალში დახრჩობისაგან გადამრჩენელი საზოგადოება ონეგის ტბის ყინულზე რამდენსამე გადამრჩენელ ქოხს აშენებს.

პრეტორია. პოლკოვნიკ ვილსონის რაზმს, 400 კაცისაგან შემდგარს, ცოტა გაწყდა. გზა არ შეუკრეს მდინარე ვიგესთან ბურებმა, რომლებიც ინგლისელებზედ ბევრნი იყვნენ. როდესაც ინგლისის რაზმი ამ ადგილს მოვიდა, 200 კაცი ფონში გავიდა მტრის დასაზვერად; განთიადისას რამდენიმე ბური ტყვედ შეიპყრეს, მაგრამ ბურები, რომელთა რიცხვი ცხრაასამდე იყო, უცბად ყოველის მხრით გარს შემოერტყნენ ინგლისის მოწინავე ჯარს; მოწინავე ჯარმა, რგორც იყო, გზა გაიკვლია ფონისაკენ, მაგრამ იმ დროს, როდესაც ის ფონში გასვლას აპირებდა, ბურებმა გზა შეუკრეს და მოწინავე ჯარს შეეძლო შეერთებოდა უმთავრესს რაზმს მხოლოდ ძალ-დაძალ. შემდეგ ამისა მთელმა რაზმმა დაიხია და გორაკიდან გორაკზე გადადიოდა, ვიდრე ფრანკფორტამდის არ მიაღწია.

ლონდონი. „დეილი ტელეგრაფი“-ის სიტყვით, ლანსდოუნის პასუხი ნიდერლანდის მთავრობის ცნობების გამო, ზრდილობიანად ხსნის, რომ, რადგანაც ამ მთავრობას მინდობილი არ ჰქონია, ბურების სახელით ილაპარაკოს და არც ცნობებშია რამე გადაწყვეტილი წინადადება, ამისათვის ეს ცნობები პრაქტიკულ მნიშვნელობას მოკლებულია.

ლონდონი. „ტაიმს“-ის ცნობებით შანჰაიდან, საბანკო კომისიის უფროსი იტყობინება, რომ 18 იანვარს შეტანილი იქნება პირველი ყოველ-თვიური ნაწილი ჩინეთის გარდასახადისა.

კიევი. კიევის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის ასაშენებლად შემოვიდა 979,474 მანეთი.

როსტოვი-დონზე. ხალხით გაჭედილ ადგილზე მოჰკლეს პოლიციელი.

ბორისოგლებსკი. ტურკინების საქმე გადასდეს.

ვარშავა. ლომჟინისა და სუვალკის გუბერნიების სახელმწიფო ქონებათა სამმართველო შუამდგომლობს, რომ სატყეო სკოლა გახსნან.

მიუხედავად პრუსიის წინააღმდეგ აგიტაციისა, გერმანიიდან გამოწერილი გაზეთების რიცხვს არ აკლდება.

ლოძი. საბირჟო კომიტეტის სხდომა მოხდა; სხდომამ განიხილა რკინის გზის ტარიფი ნოვოროსიისკში და იქიდან შორეულ აღმოსავლეთში გასაგზავნ საქონელზე.

19 იანვარი

კოპენჰაგენი. დინცერმა საერთო კრებაში წინადადება შეიტანა, რომ საერთო დაცვის კომისია დაწესდეს. დინცერს ისა აქვს აზრად, რომ დანიის დაცვის საქმე უზრუნველ-ჰყოს.

ლონდონი. ჰოლანდიის ნოტის პასუხად დაწერილი ნოტის პროექტი სამინისტროს კომისიამ მოიწონა. ამ ნოტის პირი გაეგზავნა ინგლისის ელჩს ჰააგაში. ნოტის შინაარსი მინისტრების საბჭომ ფორმალურად მოიწონა.

ბერლინი. რეიხსტაგის სადამოჟნო-სატარიფო კომისიამ დაადგინა, რომ უცხოეთის საქონელს, იმისდა მიხედვით, თუ რომელი ქვეყნიდანაა შემოტანილი, იმოდენა ბაჟი დაედოს და ისეთისავე წესით გაისინჯოს, რამოდენა ბაჟიც ადევს, ან რა წესითაც ჰსინჯავენ გერმანიის საქონელს ამა, თუ იმ ქვეყანაში.

სოფია. მინისტრად ნამყოფი ბელინოვი გარდაიცვალა.

მოსკოვი. გასათხოვარ ქალებისათვის დაარსებული ურთ-ერთ დამხმარებელი კასა მოქმედებას იწყებს. ვინც ცოტ-ცოტა ფულს შეიტანს, 200-დან 3000 მანეთამდე დირებული მზითევი მიეცემა.

ბოგოროდსკის ფერმაზე სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ სამეურნეო კურსები გახსნა ქალებისათვის.

ლოძი. ვავრჟინეც-კუჩინსკის, რომელსაც თავისი საკუთარი სახლისათვის ცეცხლი წაუკიდებინა, ყოველი უფლება აჰხადეს და კატორღაში გაგზავნა გადაუწყვიტეს ოთხის წლის ვადით.

გამომცემელი და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის)

ა) **ტფილისიდან ბათუმისაკენ:** 1) საფოსტო მატარებელი გადის საღამოს 7 ს. 45 წ. (8 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო გადის დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ პარასკეობით) ნაშუადღევის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.); 2) საფოსტო —გადის დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.); 3) სამგზავრო—გადის საღ. 9 ს. 36 წ. (10 ს. და 34 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ).

ბ) **ქუთაისიდან ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

გ) **ბათუმიდან ტფილისამდე და ბაქომდე** 1) საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო მატარ. გადის დილის 8 ს. 58 წ, (9 ს. 56 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

განცხადებანი

მ. ა. ანანოვის ამერიკულ
ვაზების სანერგე

იყიდება ამერიკულ ვაზის რიპარიას რქა ათასი 8—10 მ., რუპესტრისის ათასი 10—14 მ. სარგავი რქა ათასი 3 მან.

აქვე იყიდება სხვა-და-სხვა ზომის სალვინე ბოჩკები. იკითხეთ—რკინის გზის სადგურ რიონის ახლო მამული ა. ს. ანანოვისა.

(5—233—4)

ნახშირის საწყობი
იაგორ მამინაიშვილისა
(საკუთარი ტყიდან)
გრის მოედანზე, ყაფანთან
ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და
მშრალი ნახშირი.
შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.
ტელეფონი № 754. (წ.).

ამხანაგობა „შრომა“
საკუთარ ხეხილეულობის სანერგედან ჰყიდის
ძლიერ იაფად დამყნილ
ნერგებს
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ: აგრ. ლაგოდეხში—კ. ბაგრიკიანცს; ტფილისში—ბაღოსნობა «ფლორას» და მუშტაიდში—ზ. პრილიმკას.
კატალოგი იგზავნება უფასოდ. (20—19)

Дозволено цензурою Тифлисъ, 19 Января 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.